განკარგულება:**გ-19. 19253283**
თარიღი:**24/11/2025**

# განკარგულება №102

## გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერისთვის, უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალისგან „ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასი საქართველოში“, გრანტის მიღებაზე, წინასწარი თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მეორე ნაწილისა და მე-100 მუხლის მეშვიდე ნაწილის შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

**მუხლი 1**

მიეცეს თანხმობა გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერს, ინკლუზიური განათლების ხელშეწყობისა და საგანმანათლებლო გარემოს გაუმჯობესების მიზნით, უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალის „ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასი საქართველოში” მიერ განხორციელებული პროექტის - “ადრეული განვითარებისა და ინკლუზიური განათლების სერვისების გაუმჯობესება სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებისათვის საქართველოში” ფარგლებში, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სახელით, მიიღოს გრანტი (საჩუქარი), ა(ა)იპ „გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების“ ქალაქ გარდაბნის №3 საბავშვო ბაგა-ბაღისთვის, რომლის მთლიანი ღირებულება შეადგენს 10 496 (ათი ათას ოთხას ოთხმოცდათექვსმეტი) ლარს.

**მუხლი 2**
გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიამ მიმართოს საქართველოს მთავრობას შუამდგომლობისათვის და უზრუნველყოს უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალთან „ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასი საქართველოში“ შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმება.

**მუხლი 3**
განკარგულებას, დანართის სახით, თან ერთვის ხელშეკრულება და გრანტის (საჩუქრის) სპეციფიკაცია.

**მუხლი 4**
განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**მუხლი 5**
განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ. №6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით.

მიხეილ გედეხაური

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი